<u>დანართი 1</u>

10 შერჩეულ მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ხელშეწყობა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

1. პროგრამის მოკლე აღწერა

<u>პროგრამის სახელწოდება:</u> კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში (GGLD).

- ➔ GGLD ხორციელდება გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GIZ) მიერ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითრების ფედერალური სამინისტროს (BMZ) დაკვეთით.

<u>მიზანი</u>: საჯარო დაწესებულებები მიერ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდება მდგრადობის, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებითა და დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და გამჭვირვალობის პრინციპების შესახებად აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ცხოვრების პირობებს.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

2. ზოგადი ინფორმაცია

GIZ-ის პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში“ მიზანია ხელი შეუწყოს საჯარო ინსტიტუციებს მოქალაქეებზე ორიენტირებული და სამართლიანი მომსახურების მიწოდებაში, რაც გააუმჯობესებს ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს. აღნიშნულის მისაღწევად GIZ კონსულტაციებს უწევს მუნიციპალიტეტებსა და სამხარეო ადმინისტრაციებს გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვაში და ადგილებზე გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებასა და მოსახლეობის ყველა ჯგუფის საჭიროებებისა და ქალებისა და მამაკაცების, გოგონებისა და ვაჟების ინტერესების

გათვალისწინებას. გენდერზე ორიენტირებული პოლიტიკა კი თავის მხრივ რესურსების ეფექტიანობასა და საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად მრავალი ცვლილება განხორციელდა სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. ამ მიმართულებით ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე შეიქმნა ინსტიტუციები, რომლებიც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია გენდერული პოლიტიკის განხორციელებისათვის.

2016 წელს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს ადგილებზე გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა დაევალათ. კანონით განისაზღვრა გენდერზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა და გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, დღევანდელი მონაცემებით, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმი მოქმედებს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში. თუმცა კი კვლავაც არსებობს მრავალი გამოწვევა ადგილზე, რაც აფერხებს მათ ჯეროვან ფუნქციონირებას და გენდერული პოლიტიკის ლოკალიზაციას.

2018 წლის იანვრიდან საქართველოში შევიდა ძალაში კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებები. ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გენდერული პოლიტიკის სრულყოფის თვალსაზრისით შევიდა, კონსტიტუციის მე-11 მუხლს ეხებოდა და მისი მიღებით ქვეყანამ არსებითი გენდერული თანასწორობის გარანტიები განამტკიცა.

2020 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ფარგლებში განხორციელდა კვლევა „ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების შესახებ არსებული სიტუაციის“ შესახებ, რომლის საფუძველზე შესწავლილ იქნა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების საქმიანობა და გამოიკვეთა გამოწვევები და განვითარების შესაძლებლობები.

კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივ დონეზე გენდერული მეინსტრიმინგის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია მნიშვნელოვანია საკონსულტაციო ხელშეწყობა შემდეგი მიმართულებებით:

- გენდერული თანასწორობის საბჭოსა და გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობებისა გაზრდა და ცნობიერების ამაღლება,
- ადგილებზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება,
- ინსტიტუციური განვითარება
- კოორდინაციის გაძლიერება.

კვლევამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია მომზადდეს შესაბამისი დოკუმენტები, რომლებშიც გაწერილი იქნება გენდერული თანასწორობის მიღწევის გრძელვადიანი პერსპექტივები, მაგრამ ამავდროულად აუცილებელია შემუშავდეს ამ დოკუმენტების განხორციელებისათვის საჭირო სამოქმედო გეგმები. იმისათვის რომ სამოქმედო გეგმები იყოს საჭიროებებზე ორიენტირებული და ქმედითი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი უწყებებისათვის გენდერული მეინსტრიმინგის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტების დანერგვას,

რაც ხელს შეუწყობს რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე არსებული ინსტიტუციების ეფექტიან საქმიანობას და გენდერული პოლიტიკის ადგილებზე დაგეგმვას, რომლის მნიშვნელობასაც ხაზს უსვამს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი.

3. საკონსულტაციო მომსახურების მიზანი

საკონსულტაციო მომსახურების მიზანია შერჩეულ 10 მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება და გენდერული მეინსტრიმინგის ხელშეწყობა.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს შემდეგ 10 მუნიციპალიტეტში:

1. ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი;
2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი;
4. გურჯაანის მუნიციპალიტეტი;
5. ქედის მუნიციპალიტეტი;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტი;
7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი;
8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტი;
9. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი;
10. ასპინძის მუნიციპალიტეტი.

4. სამუშაოს მიმღების მიერ შესასრულებელი ამოცანები

სამუშაოს მიმღებმა შერჩეულ მუნიციპალიტეტებში უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება:

1. გადაწყვეტილების მიმღები პირების/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის ამაღლება, მათი შესაძლებლობების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ღონისძიებების ჩატარების გზით;

   ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს GIZ-ის გენდერული ბიუჯეტირების კომპონენტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

2. ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა;

- ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიმართულებით ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივი ჩარჩო - დოკუმენტების შემუშავება მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით (სტრატეგიები, სამოქმედო გეგმები და სხვა). საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით მომზადდება საინიციატივო წინადადებების .

- ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის დოკუმენტების მონიტორინგის, შეფასებისა და ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და დანერგვა;
- სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესასრულებლად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესაბამისი პროგრამების განხორციელებისთვის რეკომენდაციების შემუშავება GIZ-ის გენდერული ბიუჯეტის კომპონენტთან თანამშრომლობით;

3. ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ გენდერული თანასწორობის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობა, რაც მოიცავს ისეთი ინსტრუმენტების დანერგვას, როგორებიცაა გენდერული სტატისტიკის წარმოების მეთოდოლოგია, მოსახლეობის საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ა.შ.
4. გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ეფექტიანად ამოქმედებისათვის ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე კოორდინაციის გაძლიერება არსებული პრაქტიკების გათვალისწინებით;
5. პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიისა და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებისათვის პრეზენტაციის გამართვა;
6. საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს მიღებულ გამოცდილებას და გამოცდილების გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

სამუშაოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია დაინტერესებულ მხარეებთან ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, რომლებიც მუშაობენ გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის დახვეწისა და გენდერული მეინსტრიმინგის მიმართულებით. სამუშაოს მიმღები მჭიდროდ ითანამშრომლებს ასევე იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც GIZ-ის დაკვეთით მუშაობენ შერჩეულ მუნიციპალიტეტებში პროგრამული ბიუჯეტის სტატისტიკურ მონაცემების შეგროვებაზე და გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის საკითხებზე.

5. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და ანგარიშგება

სამუშაოს დაწყება: 01.04.2021

სამუშაოს დასრულება 05.11.2021

შუალედური გადახდა სავარაუდოდ 10.06.2021-მდე მოხდება შუალედური ანგარიშის წარმოდგენის საფუძველზე

შუალედური ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. გადაწყვეტილების მიმღები პირების/გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების/გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირების კომპეტენციის ამაღლებისთვის, ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას;

2. ადგილზე შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების სამუშაო ვერსიებს;

საბოლოო გადახდა მოხდება არაუგვიანეს 05.11.2021-თვის საბოლოო ანგარიში წარმოდგენის საფუძველზე. საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

1. გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების კონკრეტული ვალდებულებების განხორციელების პროცესის ხელშეწყობას.
2. ინსტიტუციური განვითარება და კოორდინაციის ხელშეწყობას;
3. მიღწეული შედეგების შესახებ პრეზენტაციას;
4. მიღებულ გამოცდილებას და მისი წარმატებით გავრცელების მიზნით რეკომენდაციების მომზადებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მეთოდები და მიდგომები სისტემის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

6. სხვა საკითხები

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, ასევე, გენდერული თანასწორობის უწყებათშორის კომისიას.

7. განაცხადების მიღება და შერჩევა

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. ორგანიზაციის შესაძლებლობები და გამოცდილება: ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვისა და განხორციელების მიმართულებით მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება. ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილება საქართველოს 9 რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. *(შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის გამოცდილება მსგავსი დაკვეთების განხორციელების მიმართულებით);.*
2. ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის გზები, პროექტის განხორციელების გეგმა და აქტივობების განხორციელების *განრიგი სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული მიმართულების შესაბამისად.*
3. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;
4. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით სამუშაო აღწერილობაში მითითებულ თემებზე *(როგორიცაა, გენდერული თანასწორობა, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების მომზადება, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა, პოლიტიკის ინსტრუმენტების შემუშავება/დანერგვა).* მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

განაცხადის წარდგენა

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას და არ უნდა შეიცავდეს ფასს. *(შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):*

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.1 პროექტის აღწერა

2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გეგმა (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	მარტი	აპრილი	მაისი	კომენტარი
1	X				*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y				
3	Z				
...	…				

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	**ექსპერტის ჰონორარი****					
1.1		[თვე ან კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	ჯამი					
2	**სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)**					
2.1	ტრანსპორტის ხარჯი					
2.2	ღამისთევის ხარჯი					
2.3	სასტუმროს ხარჯი					
2.4	დღიური თანხა პერდიემი	15 ლარი/დღე				
2.5	...					
	ჯამი					
	სულ ჯამი					

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან. (როგორც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2 მუხლში/ დანართი 4)

*****მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.***